



1134116632197

საქართველოს უზენაესი სასამართლო

0110 თბილისი, ძმები ზუბალაშვილების ქ. №32, ტელ.: 299-92-65 (ქალაქი), 3-41 (შიდა)

ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა
გადაწყვეტილების, განჩინების ასლების

გ ზავნილი

№ბს-196-195(23-16)

ქ. თბილისი, ნიაღვრის ქ. 4, ბინა 18
გიორგი ვლდიაშვილს (599-770-100)

გეგზავნებათ საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 14 აპრილის განჩინების (საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საკასაციო საჩივრის განუხილველად დატოვების შესახებ) ასლი.

მოსამართლის თანაშემწე

თამარ ჭანტურაია

გთხოვთ, გაითვალისწინოთ!

სასამართლოში საქმის განხილვას მიმდინარეობს თანასწორობისა და შეჯიბრებითობის პრინციპის საფუძველზე – თქვენ გეკისრებათ ოფგორუც ფაქტების მითითების, ასევე შემთხვევაში დამტკიცების ტვირთი. საქმის საბოლოო შედეგი დამოვიდებულია იმაზე, თუ როგორ დაასაბუთებთ თქვენს პოზიციას და რომელი მტკიცებულებით დაადასტურებთ მათ, წნუ წარმატებას განაპირობებს თქვენი პოლიტიკური ულიზმი. და თქვენს მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები.

№330310015720450



1134114611953

საქართველოს უზენაესი სასამართლო
განჩინება
საქართველოს სახელით

საკასაციო საჩივრის განუხილველად დატოვების შესახებ

№შს-196-195(ვ-16)

კლდიაშვილი გ. შს-196-195(ვ-16)

14 აპრილი, 2016 წელი

ქ. თბილისი

ადმინისტრაციულ საქმეთა პალატაში
შემდეგი შემადგენლობით:

მარა ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომსსენებელი),
ნუგარ სხირტლაძე, ვასილ როინიშვილი

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის შესაბამისად, ზეპირი მოსმენის გარეშე, შეამოწმა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საკასაციო საჩივრის დასაშვებობის საკითხი თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 22 იანვრის განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკამაყოფილებაზე.

2015 წლის 10 თებერვალს გიორგი კლდიაშვილმა სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას მოპასუხების - საქართველოს მთავარი პროკურატურისა და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიმართ, მესამე პირის - საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მონაწილეობით.

მოსარჩელემ მორალური და მატერიალური ზიანის ანაზღაურების მოპასუხებისათვის დაკასრება მოითხოვა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 28 აპრილის საოქმო განჩინებით საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, საქმეში მესამე პირად ჩაება საქართველოს ფინანსთა სამინისტრო.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 23 ივნისის გადაწყვეტილებით გიორგი კლდიაშვილის სარჩელი დაკამაყოფილდა ნაწილობრივ; საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და საქართველოს მთავარ

პროკურატურას გიორგი კლდიაშვილის სასარგებლოდ დაეკისრათ მორალური ზიანის - 2000 ლარისა და მატერიალური ზიანის - 1180 ლარის ანაზღაურება.

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება საპელაციო წესით გაასაჩივრეს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ და საქართველოს მთავარმა პროკურატურამ, რომლებმაც თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 23 ივნისის გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკამაყოფილებაზე უკრის თქმა მოითხოვეს.

თბილისის საპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 22 იანვრის განჩინებით საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და საქართველოს მთავარი პროკურატურის საპელაციო საჩივრები არ დაკამაყოფილდა და უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 23 ივნისის გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლოს განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრეს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ და საქართველოს მთავარმა პროკურატურამ, რომლებმაც თბილისის საპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 22 იანვრის განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკამაყოფილებაზე უკრის თქმა მოითხოვეს.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 14 მარტის განჩინებებით საქართველოს მთავარი პროკურატურის საკასაციო საჩივრი მიღებულ იქნა წარმოებაში საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად, ხოლო საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საკასაციო საჩივრის დაუდგინდა ხარვეზი.

საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ წარმოდგენილი საკასაციო საჩივრი არ აკმაყოფილებდა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 397-ე მუხლის I-ლი ნაწილის მოთხოვნას. მითითებული ნორმის შესაბამისად, საკასაციო საჩივრის გადა არის 21 დღე, ამ გადის გაგრძელება (აღდგენა) არ შეიძლება და იგი იწყება მხარისთვის გადაწყვეტილების გადაცემის მომენტიდან.

საქმეში არსებული საფოსტო გზავნილის ჩაბარების შესახებ შეტყობინების თანახმად, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა სააპელაციო პალატის 2016 წლის 22 იანვრის განჩინება ჩაბარდა 2016 წლის 8 თებერვალს. შესაბამისად, საკასაციო საჩივრის შეტანის გადა 2016 წლის 29 თებერვალს იწურებოდა, საკასაციო საჩივრი კი სააპელაციო სასამართლოში შეტანილ იქნა 2016 წლის 1 მარტს. საკასაციო საჩივრას ერთვოდა კონვერტი, თუმცა არ დგინდებოდა საკასაციო საჩივრი რომელი ფოსტის მეშვეობით იქნა წარდგენილი და როდის იქნა საფოსტო განყოფილებაში შეტანილი.

ამდენად, კასაცორს - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს დაევალა ფოსტის მეშვეობით საკასაციო საჩივრის წარმოდგენის შემთხვევაში, ფოსტუში გზავნილის შეტანის თარიღის დადასტურების შესახებ დოკუმენტური სახით მტკიცებულების წარმოდგენა.

2016 წლის 4 აპრილს საკასაციო სასამართლოს განცხადებით მომართა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო, რომელმაც აღნიშნა, რომ თბილისის სააპელაციო

სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 22 იანვრის გამშინების ასლი სამინისტროში დარეგისტრირდა 2016 წლის 9 თებერვალს, შესამამიხად, სამინისტროს მიერ დაცულ იქნა სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრების 21-დღის ვადა.

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის შედეგად მიაჩინეს, რომ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საკასაციო საჩივარი უნდა დარჩეს განუზიღველი შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი.

საკასაციო სასამართლო მიუთიერებს საქართველოს სამოქალაქო ხაპროცესო კოდექსის 396-ე მუხლზე, რომლის მე-3 ნაწილის თანახმად, თუ საკასაციო საჩივარი არ არის შეტანილი კანონით დადგენილ ვადაში, საკასაციო საჩივარი განუზიღველი დარჩება.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 397-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, საკასაციო საჩივრის შეტანის ვადაა 21 დღე. ამ ვადის გაგრძელება (აღდგენა) არ შეიძლება და იგი იწყება მხარისათვის გადაწყვეტილების გადაცემის მომენტიდან. გადაწყვეტილების (განჩინების) გადაცემის მომენტად კი ითვლება ამ განჩინების ასლის მხარისათვის ჩაბარება უშუალოდ სასამართლოში ან ჩაბარება მითითებული კოდექსის 70-78-ე მუხლების შესაბამისად.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 73-ე მუხლის მე-8 ნაწილი განსაზღვრავს, ფოსტით ან კურიერის მეშვეობით მოქალაქისათვის გაგზავნილი სასამართლო უწყება მას უნდა ჩატარდეს პირადად, ხოლო მოქალაქის სამუშაო ადგილზე, ასევე ორგანიზაციისათვის გაგზავნილი უწყება უნდა ჩატარდეს კანცელარიას ან ასეთივე დანიშნულების სტრუქტულურ ერთეულს ანდა პირს, ხოლო ასეთის არყოფნის შემთხვევაში - ორგანიზაციის შესაბამის უფლებამოსილ პირს, რომელიც უწყებას ადრესატს გადასცემს. მოქალაქეს ან ორგანიზაციას სასამართლო უწყება შესაძლოა ასევე გადაეცეს მასრეთ შეთანხმებით გათვალისწინებული ჩაბარების განსხვავებული წესით. ამ ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევებში უწყების ჩაბარება დასტურდება მის მეორე ეგზემპლარზე უწყების მიმღების ხელმოწერით.

საკასაციო სასამართლო საქმის მასალებით დადგენილად მიიჩნევს იმ გარემოებას, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 22 იანვრის განჩინების შემცველი გზავნილი 2016 წლის 5 თებერვალს გაეგზავნა კასატონს - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს და კანონით დადგენილი წესით ჩაბარდა ორგანიზაციის წარმომადგენერეს - ლალი დამერიას 2016 წლის 8 თებერვალს, 12:07 საათზე (იხ. ს.ფ. 192). საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოში 2016 წლის 1 მარტს იქნა წარდგენილი, რასაც კასატონიც ადასტურდება.

სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინების ჩაბარების თარიღთან დაკავშირებით საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს კასატორის არგუმენტს, რომ სამინისტროში სააპელაციო სასამართლოს 2016 წლის 22 იანვრის განჩინება შევიდა 2016 წლის 9 თებერვალს, რამდენადაც როგორც აღინიშნა, საფოსტო გზავნილით დასტურდება,

რომ სამინისტროს წარმომადგენერელს - ლალი დამერიას 2016 წლის 8 თებერვალს ჩაბარდა სააპელაციო სასამართლოს განჩინება. აღნიშნულის საწინააღმდეგოდ კასატორის წარმომადგენერისა რაიმე მტკიცებულება. კასატორის მიერ წარმომადგენტი, სამინისტროში დოკუმენტის კლექტრონული ბრუნვის შესახებ ამონაწერით არ დგინდება სააპელაციო სასამართლოდან სამინისტროს კანცელარიაში დოკუმენტის შესვლის თარიღი. აღნიშნული დოკუმენტი მხოლოდ შიდა, სამინისტროს კანცელარიიდან სამინისტროს იურიდიულ დეპარტამენტში მომრაობას ადასტურდებს და არ გამორიცხავს საქმეში დაცული საფოსტო გზავნილის მონაცემებს.

საკასაციო სასამართლო განახორცავს, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-60 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, საპროცესო მოქმედების შესრულების ვადა განისაზღვრება ზუსტი კალენდარული თარიღით, ხოლო ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, დღეებით გამოსათვლელი საპროცესო ვადის დენა იწყება იმ კალენდარული თარიღის დადგომის მომდევნო დღიდან, რომლითაც განსაზღვრულია მისი დასაწყისი. იმავე კოდექსის 61-ე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით, საპროცესო მოქმედება, რომლის შესარულებლადაც დადგენილია ვადა, შეიძლება შესრულდეს ვადის უკანასკნელი დღის იცდათხ საათამდე.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, გამომდინარე იქიდან, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2016 წლის 22 იანვრის განჩინების ასლი საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 2016 წლის 8 თებერვალს ჩაბარდა, გადაწყვეტილების (განჩინების) გასაჩივრების კანონით დადგენილი ვადის ათვლა 2016 წლის 9 თებერვალიდან უნდა დაწყებულიყო და შესაბამისად, განჩინების გასაჩივრების 21-დღიანი ვადა 2016 წლის 29 თებერვალს (ორშაბათს) 24 საათზე ამოიწურა.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად, საპროცესო მოქმედების შესრულების უფლება გაქარწყლდება კანონით დადგენილი ან სასამართლოს მიერ დანიშნული ვადის გასვლის შემდეგ, საჩივარი (განცელება) რომელიც შეტანილია საპროცესო ვადის გასვლის შემდეგ, განუხილველი დარჩება.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს მაისია, რომ კასატორმა დაარღვია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 397-ე მუხლის პირველი ნაწილში მითითებული საკასაციო საჩივრის შეტანის 21-დღიანი ვადა (საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოში 2016 წლის 1 მარტს წარადგინა), რაც საკასაციო საჩივრის განუხილველად დატოვების საფუძველს წარმოადგენს.

ს ა რ ე ზ ო ლ უ ც ი ღ ნ ა წ ი ღ ლ ი :

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 396-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 397-ე მუხლით და

ღ ღ ღ ღ ღ ა:

1. განუხილველი დარჩეს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საკასაციო
საჩივარი;
2. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

თავმჯდომარე ჭ. ჭუბაძე

მ. ვაჩაძე

მოსამართლეები: ო. ჩახვაძე ნ. სხირტლაძე



ნ. სხირტლაძე